საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 136 1918 წ. ოთხშაბათი. აგვისტოს 28. № 316

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

## ლეჩხუმის აჯანყება დამთავრდა.—გენ. მაზნიაშვილი არმავირისაკენ მიიწევს.—ტყიბულის მაღაროებში გაფიცვა გათავდა.

## სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ეკატერინე ივანეს ასული, ანა მიხეილის ასული ქარუმიძისა, ბარბალე მიხეილის ასული მეძმარიაშვილისა, ნიკოლოზ, ივანე და კონსტანტინე მიხეილის ძენი გიგაურები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს აგვისტოს 29-ს გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარი შვილისა და უკანასკნელთა ძმის
იოსებ მიხეილის ძის გიგაურის
სულის მოსახსენებლად წმ. მარინეს ეკლესიაში. წირვა დაიწყება 10 ს.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ
ენკენისთვის 15-ს ტფილისში მოხდება სოც.-ფედ. პარტიის დელეგატთა
კონფერენცია
განსახილველი საკითხები: 1. მომენტი და ჩვენი ტაქტიკა.
2. აგრარული საკითხი.
3. მოხსენებანი ადგილებიდან.
ყოველი 150 წევრი პარტიისა ირჩევს ერთს დელეგატს. სადაც ნაკლები აღმოჩნდება—იქ 100 აირჩევს. მეზობელ მცირე ორგანიზაციებს შეუძლიანთ არჩევნებისათვის შეერთება.

ქართული კლუბი
ოთხშაბათს, აგვისტოს 28-ს
ბალში დაუკრავს
გერმანული ორკესტრი 287

დიდი ცირკი
ძმ. ეფიმოვებისა
მიხეილის პრ., მუშტ., ახლო, საკუთ., ახლად მეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.
დღეს, აგვისტოს 28-ს გაიმართება
საგასტროლო წარმოდგენა
მონაწილეობენ ნიკოლინი, კამო, ბ. ელიზაროვი და სხვ.
ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება შემოდგომის სეზონი. მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 905



საქართვ. რესპუბლიკის ოფიც. ეკონომ.
საზოგადოება
(ყოფილი კავკასიის ოფ. ეკონ. საზოგ.)
იწვევს რეგისტრაციისთვის საზოგადოების ყველა წევრს საზ. მთავარ კანტორაში (კირკის ქ. № 9) 10 ს.—2 საათამდე. რეგისტრაციისათვის უნდა წარადგინონ საპაიო წიგნაკი, საწევრო ბილეთი და „ზაბორნი" წიგნაკი პიროვნების დამამოწმებელ დოკუმენტით. რეგისტრაციისთვის წიგნაკის პატრონი პირადად უნდა გამოცხადდეს. რეგისტრაცია სწარმოებს დღიდან გამოცხადებისა ამ წლის ოქტომბრის 1-მდე. ამის შემდეგ საქონელი მიეცემათ მხოლოდ დავთარში შეტანილ (რეგისტრაციის შემდეგ) წიგნაკის მიხედვით. ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის რეგისტრაციის ვადა გაგრძელებული იქნება. მთავრობის კომისია. საზოგად. გამგეობა. 1283

## ტფილისი, აგვისტოს 28

**სურსათი და კოოპერაცია**

სასურსათო საკითხი ისეთი წყეული საკითხია ჩვენი ცხოვრებისა, რომლის მოგვარებას დიდი ხანია ვცდილობთ, მაგრამ დღემდე ვერაფერი მოგვიხერხებია არსებითად. რასაკვირველია არის ღრმა ობიექტიური პირობა, რომელიც ხელს გვიშლის და თითქმის შეუძლებლად ხდის უნაკლოდ სურსათის საქმის მოგვარებას. მაგრამ უეჭველია არის სხვა მხარე უფრო სუბიექტიურ-ადმინისტრატიული ხასიათისა, რომლის გამო სასურსათო საქმის ორგანიზაცია ვერ მოეწყო ისე, როგორც ცუდ პირობებში შეგვეძლო მოწყობა.

ბევრს ჰგონია, რომ სურსათის საქმის ორგანიზაცია მთლიანად დამოკიდებულია საგანგებო უწყების, აპარატის შექმნაზე. აშკარაა, სასურსათო სისტემის შექმნას, როგორც ორგანიზაციის სისტემას, მექანიკას თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ტეხნიკური სქემაც მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როდესაც სახელმწიფოებრივი წყობილება მკვიდრ ნიადაგზე სდგას და აღმასრულებელი აპარატი გულმოდგინეთ და წესიერად ასრულებს დანავალებს.

ეს აუცილებელი პირობაა ყოველ ორგანიზაციისათვის. ჩვენში კი სურსათის სამოძრაო აპარატი იმიტომაც ვერ ჩამოყალიბდა, იმიტომ გამეფდა სპეკულიაცია და სასურსათო ვაკხანალია, რომ სახელმწიფოში მეტი ანარქია არსებობდა ვიდრე წესიერება და ჩვენ სურსათის მექანიკაზე ვლაპარაკობდით როცა სახელმწიფოებრივი მექანიკა არ გვქონდა შემუშავებული.

აი, ასეთ ანარქიის პირობებში მრავალი რეფორმა ვსცადეთ. განვახორციელეთ ქაღალდზე სასტიკი რეგლამენტაცია, საშინაო ცხოვრების პროტექციონიზმი, დავაარსეთ საგანგებო სასურსათო კომიტეტები, ბოლო დროს ფრიტრედერულ სავაჭრო პოლიტიკას შევასხით ქება-დიდება და ეხლა სულ გვინდა მოვსპოთ სასურსათო სამინისტროც. ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, რომ ასეთ ცვლილებებში, აზროვნების ტრიალში არ შეიძლება რისმე გაკეთება. შეუძლებელია დაწესებულებებიც ისე წამ და უწუმ ვატრიალოთ, როგორც ამას მოითხოვს რომელიმე მოაზროვნეს ფანტაზია, რანაირადაც არ უნდა იყოს იგი აზრი ჩამოყალიბებული. სახელმწიფოებრივ დაწესებულებაში თუ არ შევიტანეთ გონივრულ კონსერვატიზმის პრინციპი, შეუძლებელი გახდება ყოველგვარი საადმშენებლო მუშაობა.

ამნაირად ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია დღეს სასურსათო სამინისტროს ლიკვიდაცია. ეს დაწესებულება სულ რამდენიმე ხანია შევქმენით, მას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და მისი მოშლა ვერავითარ კრიტიკას ვერ გაუძლებს. მაგრამ არის სასურსათო მექანიკის სხვა მხარე, რომელიც არც უნდა შეგვექმნა თავის დროზე, ვერაფერი გააკეთა და ძვირად კი დაუჯდა, როგორც ხაზინას ისე ხალხს. ეს არის სასოფლო, სამაზრო-საგუბერნიო და საქალაქო სასურსათო კომიტეტები. ამ კომიტეტებმა დიდად შეუშალა ხელი ისეთ საადებ-მისაცემო სახალხო ორგანიზაციებს, როგორც არიან კოოპერატივები. სასურსათო კომიტეტების დიდმა ჯამაგირებმა კოოპერატივებს გამოსტაცეს საუკეთესო ძალები, მთავრობის ყურადღება მოაკლო კოოპერატივებს და ეს უკანასკნელნი ჩავარდნენ ფრიად უმწეო პირობებში, რომლებმაც ისევე მიყვენ ხელი სპეკულიაციით სიცოცხლეს, როგორც კერძო მევაჭრენი და მოვაჭრენი ცდილობდნენ.

ამიერიდან ასეთი მდგომარეობა სამუდამოდ უნდა მოისპოს. სასურსათო სამინისტრო უნდა დაემყაროს კოოპერატივებს და საკოოპერაციო კავშირებს. საქართველოში 700 მეტი სხვა და სხვა ტიპის კოოპერატივია, მრავალი საკოოპერაციო კავშირია, რომელიც სიამოვნებით და სასარგებლოდ შეასრულებს სამინისტროს ყოველგვარ დავალებას.

რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ სავსებით ჩაიხშოს ვაჭრობა აღებ მიცემობაში პრინციპი კერძო თაოსნობისა. არა ამ მხრივ ცხოვრების შეზღუდვა არ არის საჭირო. ეს არც კოოპერაციას ესაჭიროება, ვინაიდან კოოპერაცია არც აღზრდილა კერძო ვაჭრობის შეზღუდვის ნიადაგზე და მას ამის არც ეშინია. სამინისტროს ყოველთვის აქვს ისეთი საზოგადო საქმეები, რომელიც საზოგადოებრივ ორგანიზაციების საშუალებით უნდა ეწყობოდეს ხალხში. აი ასეთი საქმეებისათვის დაუფასებელ სამსახურს გაგვიწევს კოოპერაცია და ეს ამ უკანასკნელის გაძლიერებისათვის ფრიად საკმაო იქნება.

ბოლო დროს მთავრობა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა კოოპერაციას. ეს კი უეჭველად უნდა შეიცვალოს. საქართველოში საკოოპერაციო მოძრაობამ მასიური ხასიათი მიიღო, ნახევარ მილიონზე მეტი წევრია ამ საქმეში ჩათრეული და ამ ძალთა საქმეში ჩათრევა, ამოძრავება იქნება ამავე დროს საეკონომიო შემოქმედების გაჩაღება, რაიცა ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოგვარებას, ისე სასურსათო ცხოვრების საზრიან პირობებში ჩაყენებას.

## უკანასკნელი ცნობები

**ტყიბული**

ტყიბულის მაღაროებში მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე აგვისტოს 20-ს დაიწყო. მუშები მოითხოვდნენ შრომის ფასის 100% მომატებას: მაღაროებში მომუშავეებს უნდა მისცემოდა 8 საათის სამუშაო დღეში დიდებს 24 მან. ბავშვებს 18 მან. დამჭედავებს 30 მან. მაღაროების ზევით მომუშავეებს დიდებს 30 მან. ბავშვებს 16 მან. და დამჭედავებს 24 მან. ამას გარდა მუშები მოითხოვდნენ რომ მთავრობას მიეწოდებინა პური 2 აბაზად გირვანქა, საპონი 17 შაურად და სამუშაო მასალაც უკლებლივ მიეწოდებინა დროზე. ტყიბულში როგორც ვიცით გაემგზავრა შრომის მინისტრის თანაშემწე ესაძე. მუშებმა მხოლოდ ერთი მუხლი დაუთმეს მომატებული ფასი მიეცეს მათ აგვისტოს პირველიდან და არა ივლისის პირველიდან (როგორც წინად მოითხოვდნენ).

—

გუშინ ტფილისში სათბობი მასალის კომიტეტს ცნობა მოუვიდა, რომ ტყიბულის მაღაროების მუშების გაფიცვა დამთავრდა და მუშაობას უკვე შეუდგნენ. პირველი დატვირთული ვაგონები უკვე გუშინ გამოიგზავნა ტფილისისაკენ.

**მაზნიაშვილი.**

სამხედრო სამინისტროში მიღებულ ცნობების თანახმად გენერალი მაზნიაშვილი თავის მამაცი ჯარით არმავირისაკენ მიიწევს.

**ლეჩხუმის ამბები.**

სამხედრო მინისტრს გენერალი სუმბათაშვილი დეპეშით აუწყებს: ლეჩხუმის მაზრაში ოპერაციები დამთავრდა,—საჭიროა საზოგადოების მხრივ გონიერი პროპაგანდა, რომ ხალხი სავსებით გამოერკვეს პროვოკაციის ქსელიდან. ჩვენს რაზმებს უჭირავთ შემდეგი სოფლები: ლაილაში, ორბელი, ცაგერი, ნაქურალეში, მექვენა და სხვა.

**სომხები რუსეთში.**

გაზ. „ბორბა" გადმოგვცემს ლენინის დეკრეტს, რომლის ძალითაც რუსეთში მოისპო სომხეთა ყველა ორგანიზაცია, რადგან კონტრ-რევოლიუციონურ ორგანოებად იქმნა ცნობილი. გაუქმებულ ორგანიზაციათა ქონება გადაეცემა ეროვნულ სეკრეტარიატს, რომელიც საბჭოთა მთავრობასთან არსებობს.

## ომის დღეში

**დასავლეთის ფრონტი**

**ბერლინი.** 8—26. კრონპრინც რუპრეხტის და ბოინეს ლაშქარი. ბეილელთან და სკარპირს ჩრდილოეთით საავანპოსტო ბრძოლაა. კრუაზელის დასავლეთით მტრის იერიშები ცეცხლის საშუალებით მოვიგერიეთ. ვიცე ფელდფებელმა გობელმა მტრის 4 ჯავშნოსანი ტყვიის მფრქვეველების საშუალებით გაანადგურა, ხოლო უნტერ-ოფიცერმა გენემ 3 ჯავშნოსანი. შაპომის ორივე მხრით მტერმა განაგრძო იერიშები სენლეჟერსა და მარტინპიუშის შუა. მტერი დიდძალი ჯავშნოსანი ავტომობილით და ქვეითა ჯარით სცდილობდა ჩვენი ფრონტის გარღვევას. მტერი სულ ახალახალ ძალას იშველიებდა, მაგრამ ამაოდ. დაწვრილებითი ცნობები ამ ოპერაციისა შემდეგია: მტერი შემოიჭრა ჩვენ ხაზებში მორის დასავლეთით და შაპომმარტინპიუშის დასავლეთით. შაპომის ჩრდილოეთით მტერი შევაჩერეთ. დანარჩენი იერიშები ჩვენი ხაზების წინ მოვიგერიეთ პრუსიელმა პოლკებმა კონტრიერიში მიიტანეს ტილლუა-მარტინპიუშის ხაზით. ორივე ადგილი უკან დავიბრუნეთ. უამრავი განადგურებული ჯავშნოსანი ყრია ჩვენი ხაზების წინ. სალამოს, კარნუასა და სომას შუა მტერმა ხელ-ახლად მოიტანა იერიშები. ჩვენ ყველა მოვიგერიეთ. სომას სამხრეთით რამდენიმე იერიშის შემდეგ მტერმა აიღო კაპი და ფონტენი. რობერის გზატკეცილის ორივე მხრით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. სომასა და უაზას შუა საომარი მოქმედება არ ყოფილა. ელეტის სამხრეთით პრუსიის გვარდიამ იერიში მიიტანა მტერზე კრესიონ-მონტის დასავლეთით, აიღო სენმარდის მაღლობები და მოიგერია იერიშები, რომელიც თეთრმა და წითელ კანიანებმა მოიტანეს. დატყვევებულია 400 კაცი.

**პალესტინის ფრონტი.**

**სტამბოლი.** 8—26. ორივე მხრით საარტილერიო მოქმედებაა. ზღვის ნაპირას ჩვენს პოზიციებს მტერმა სროლა აუტეხა. ჩვენმა არტილერიამ მითვე უპასუხა.

ხაჯი-ალოსთან (თავრიზის სამხრეთით 50 ვერ.) მტრის კავალერია გავრეკეთ. სხვა ფრონტებზე საგულისხმო არაფერი მომხდარა.

აგვისტოს 25-ს ღამით მტრის მფრინავები კვლავ სცდილობდნენ სტამბოლზე გადაფრენას. ერთ ადგილას ჩამოყრილმა ყუმბარებმა ვერავითარი ზიანი ვერ მოუტანეს ქალაქს. მფრინავებმა თავისი განზრახვა ვერ შეასრულეს და ქალაქზე ვერ გადაიფრინეს.

## უცხოეთი

**მოსკოვი.** 8—25. აღმოსავლეთის ფრონტი. ალაბაევის მიმართულებით, ირბიტის ქარხნის რაიონში მტერმა იერიშები მოიტანა ჩვენს ბანაკზე, ყველა იერიში მოვიგერიეთ და მტერიც დიდად დავაზიანეთ. სოფ. ანტონოვსკაიასთან ჩვენი ნაწილები სდევნიან მტერს. რეჟის სადგურთან ბრძოლაა: ჩვენები ბრწყინვალედ იგერიებენ მტრის იერიშებს სად. მონეტნაიასთან მტერმა შემოგვიტია და ჩვენი ჯარი იძულებული გახდა დაეხია ექვსი ვერსით კუტინის სადგურის სამხრეთით.

ჩევინის მიმართულება. სოფელ ტარასკოვოსთან მტრის მზვერავები გავრეკეთ. ლისვენის მიმართულებით ჩვენმა მზვერავებმა გაარღვიეს მტრის მცველების პოსტი, გააქციეს იგა და დიდძალი ტყვია-წამალი იგდეს ხელთ. ყირგიზარას მიმართულებით, სარგის აღმოსავლეთით თეთრმა გვარდიელებმა კოტირევო აიღეს. უფას მიმართულებით მტერმა ბალკი აიღო მისი ნაწილები კამის ნაპირით მიდიან წინ. მტერი შდ. კაზანკაზე გამაგრდა.

**ვენა.** 8—25. გუშინ ოსმალეთის საელჩოში ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების გაცვლა-გამოცვლა მოხდა ოსმალეთსა, უკრაინასა და ფინლიანდიას შორის.

**ბერნი** 8—25 დაილუპა ინგლისის გემი „ატლანტიენ", 9399 ტონისა. გემი დატვირთული იყო ამუნიციით.

**ჟენევა** 8—25. „ჟურნალი" იტყობინება, რომ აგვისტოს 19-ს გერმანელმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ნანსის.

**მალმე** 8—25 პეტროგრადში, აგვისტოს 4-ს ღამით დაატუსაღეს 17.000 კაცი, უმთავრესად ოფიცრები და პეტროგრადის ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

**სტოკჰოლმი.** 8—25. აქ ცნობები მოვიდა, რომ ნიკოლოზ მე-2-ის ერთ-ერთი მკვლელი მუშა ბელობოროდოვი ბრბომ, დახვრიტა ორი მკვლელიც საპყრობილეშია.

## ახალი ამბავი

**ერევნის ოკუპაცია.** ერევნიდან იტყობინებიან, რომ იქ მცხოვრებლები შეშფოთებული არიან გავრცელებული ხმებით—ოსმალეთს პრინციპიალურად გადაწყვეტილი აქვს ერევნის დროებითი ოკუპაცია მოახდინოს, რადგან ახლო მომავალში მოსალოდნელია კავკასიის ფრონტზე ოპერაციების დაწყება. ამ ხმებით შეშფოთებული არიან არა თუ სომხები, არამედ რუსებიც, რომელნიც შუამდგომლობენ რუსთა ეროვნულ საბჭოს წინაშე ნება დართონ მათ რუსეთში გამგზავრებისა.

**ადერბეიჯანის რკ. გზა.** რადგან ოსმალეთის ჯარს სარკინიგზო შემადგენლობა არ ყოფნის, ნური ფაშამ ბრძანება გასცა აღარ მიიღონ ბარგი რკ. გზით გასაგზავნად და პირველ სადგურზევე გადმოტვირთონ ყველა ვაგონი, რათა ცარიელი ვაგონები სამხედრო

...ში გაგზავნონ ჯარის „გადმოსაყვანად.

◆ **სახაზინო პალატების გაუქმება.** ფინანსთა სამინისტროს საბჭომ დაადგინა გააუქმოს ტფილისისა და ქუთაისის სახაზინო პალატები, ხოლო ფინანსთა სამინისტროსთან დაარსოს სახარჯო განყოფილება.

◆ **ერთდროული გადასახადი ქალაქის მცხოვრებლებზე.** ტფილისის ქალაქის გამგეობას განზრახული აქვს ქალაქში ელექტრონის ენერგიის მომხმარებლებზე ერთდროული გადასახადი დააწესოს 2 კაპ. თითო სანთლის შუქზე.

◆ **ხოლერა.** ქალ. საავადმყოფოში მოათავსეს 19 ხოლერიანი და 8 ხოლერის ნიშნით ავადმყოფი. მორჩა 4, გარდაიცვალა 6 ხოლერიანი და 3 საეჭვო ავადმყოფი. აგვისტოს 26-ს სულ იყო 7—8 ხოლერიანი და 9 საეჭვო ავადმყოფი.

◆ საგანგებო საქმეთა გამომძიებელი თხოვნით მიმართა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს მიაწოდოს მას ეროვნულ საბჭოს იმ სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში, რომელზედაც განხილულ იქმნა შეკითხვა გამოუძიებლათ დატუსაღებულთა დახვრეტის შესახებ და აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს შეკითხვის გარშემო გამართულ კამათში.

გამომძიებელი სთხოვს აგრეთვე დაასახელონ ბეჭვდითი სიტყვის ორგანოები, რომელთაც შეუძლიანთ ფაქტიური მასალის მოწოდება რუსაძისა და სხვათა მკვლელობის შესახებ.

◆ **წინამძღვარიანთ სკოლის** შესანახად მიწათმოქმედების სამინისტრო სთხოვს ეროვნულ საბჭოსაგან 31,000 მან.

◆ **წინამძღვარიანთ-კარის სასწავლებელი.** მთავრობამ გადასწყვიტა: წარედგინოს ეროვნული საბჭოს კანონ-პროექტი, რათა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა აღიარებულ იქნეს სახელმწიფო სკოლად, რომლის ხარჯების დასაფარავად გადაიდვას სახელმწიფო ხაზინიდან ...ა თერთმეტი ათასი მან.

◆ **ხატუსაღოდან გაქცევა.** აგვისტოს 25-ს დღით 12 საათზე საპყრობილის საავადმყოფო განყოფილებიდან მოიპარულა და გადამალულა ყალბი ...ლების დამზადებელი იოსებ ტორანიშვილი, საპყრობილეს უფროსი სამილიციო ნაწილის უფროსს ატყობინებს ამბავს და სთხოვს მოძებნონ და დაატუსაღონ ტორანიშვილი.

◆ აგვისტოს 20-ს კაფე „ათინაში“ ...ხონ დოშეიანცს, როგორც მას მილიციის უფროსისათვის განუცხადებია გაუცნობია გორის კომისარის თანაშემწე პოდპორუჩიკი დიდიბერიძე. დიდიბერიძის წინადადებაზე ეყიდა დოშეიანცს მისგან საპონი ფუთი 250 მანეთად სულ 7500 მანეთისა, ამ უკანასკნელს თანხმობა განუცხადებია და წასულან ისინი და სასადილო „მავრიტანიას“ პატრონისათვის დოშეიანცს ბედ გადაუცია 2000 მან. მეორე დღეს დიდიბერიძე და დოშეიანცი აქვე შეჰყრილან და მოწმების თანადასწრებით დოშეიანცს მისთვის დამატებით გადაუცია კიდევ 3000 მან. ამის შემდეგ ორივენი ეტლით წასულან მიხეილის ქუჩაზე და სამხედრო სასწავლებელთან დიდიბერიძეს დოშეიანცი დაუტოვებია ეტლში და თვით სასწავლებელში ასულა ვითომც ნაცნობ ოფიცრის სანახავად დიდიბერიძეს მიღებული ფული მიუთვისებია და გადამალულა. გამოძიების შემდეგ დიდიბერიძის თანამონაწილენი ვინმე არუნოვი და რუფემ-ბეკ მოგომეტოვი დაუპატიმრებიათ ხოლო პორუჩიკ დიდიბერიძის აღმოსაჩენად და დასაპატიმრებლად გამოძიება სწარმოებს.

◆ **„ქურდი მასპინძელი“** აგვისტოს 23-ს სოფ. ბეთლევიდან ჩამოვიდა ტფილისში იოანე ნ. სირაძე თავის თანამგზავრთან ერთად სილო ი. სირაძესთან (სოფ. შხივანიდან). ჩამოსვლისას უკანასკნელმა თავის ბინაზე (ბათომის ქ № 28) მიიპატიჟა. მეორე დღეს როდესაც ი. სირაძე სახლში არ იყო, ს. სირაძეს მოუპარავს ყველაფერი სოფლიდან ჩამოტანილი და დეზერტირების ბაზარზე გაუყიდნია. სხვა ნივთთან ერთად მოუპარავს და გაუყიდნია „ფრენჩი“ შალიდან შეკერილი, შიგ ი. სირაძის დოკუმენტები ყოფილა. სირაძე ყველასა სთხოვს დოკუმენტები დაუბრუნონ, თუ კი აღმოჩნდა, ამ მისამართით: ტფილისი მეჟევაიას ქ ს. № 36.

◆ **თავდასხმა.** საბურთალოში მცხოვრებს მოქალაქე ბესარიონ შონიას ღამით 24-ს შეტყუებიან მილიციონერების სახელით ავაზაკები. ვითომც გაჩხრეკის მოთხოვნილების სახით გაუღებინებიათ ფუთი, წაურთმევიათ 3000 მან. და ძვირფასი ნივთები 1610 მან. ღირებულებისა და მიმალულან. ქურდების ვინაობა არ იციან.

— მე-7 სამილიციო ნაწილში იორის ქუჩაზე მცხოვრებ ჯალალ-ოღლს ბინის ფანჯრის ჩამტვრევით შეეპარნენ და მოჰპარეს 3600 მან. ნივთები და წაიღეს ფულად 300 მ. ქურდები ჯერ ვერ მიუგნიათ.

— აგვისტოს 23-ს საბურთალოზე მცხოვრებს პარმენ მილქაძეს ღამით შესცვივნია სამი უცნობი ჯარისკაცის ტანისამოსში გამოწყობილნი, მოკვლის მუქარით წაურთმევიათ ფულად 170 მან. და ნივთები სულ 4020 მ. ღირებულებისა და გადამალულან.

◆ **ქართულ სატეხნიკო საზოგადოებასთან** არსებული სათერმინოლოგიო სექცია მისი მუშაობით დაინტერესებულთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ სექციაში შემუშავებული ტერმინები გაზეთ „შრომაში“ დაიბეჭდება დღეიდან აგვისტოს 28-დან.

◆ **კოოპერატიულ სასადილოთა საზოგადოება.** ამ დღეებში ირ. თასიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება. გადასწყდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის ხელახლა არჩევა. არჩეულ იქმნენ, გამგეობის წევრებად: ზ. ფორაქიშვილი, წულუკიძე, ნ. დანდუროვი, ფანჩულიძე და ს. წერეთელი. სარევიზიო კომისიის წევრებად—ირ. თასიშვილი, ბარსამოვი და ელიაზაროვისა.

◆ **ოსმალეთის წარმომადგენელი.** ამ დღეებში ჩამოვა ტფილისს ოსმალეთის მთავრობის ახლად დანიშნული სამხედრო დიპლომატიური წარმომადგენელი აბდულ ყირიმ—ბეი.

◆ **საგანგებო საქმეთა მინისტრმა** მთავრობას წარუდგინა დასამტკიცებლად სამინისტროს შტატის და ხარჯთ აღრიცხვა 700,200 მან.

◆ **გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა:** ჯარის კაცები დ. ვაშაკიძე და ალ. ჰიჰიაშვილი თავდასხმისათვის, ოფიცერი დიდებულიძე თავის ნებით სადარაჯოს მიტოვებისათვის; ჯარის კაცი კირილე პატარაია სიმთვრალისათვის, ჯარის კაცი არ. არსენიძე უფროსის შეურაცხყოფისათვის. მუშა პ. პეტრენკო და ჯარის კაცი ნ. იუმაშოვი სახელმწიფო ქონების მოპარვისათვის.

◆ **გერმანიის სამხედრო მისიამ** აღადგინა გემით წესიერი მიმოსვლა ფოთსა და სევასტოპოლს შუა. ფოთიდან გემი გავა ოთხშაბათობით, სევასტოპოლში მივა პარასკევს. სევასტოპოლიდან გამოვა კვირაობით და ფოთში ჩამოვა სამშაბათობით.

◆ **ოსთა რაზმი** ხრესილიდან გვატყობინებენ რომ ოსეთის ეროვნული საბჭო ადგენს რაზმს, რომელმაც უნდა აჰყაროს იარაღი ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლებ ოსებს.

◆ **გაძარცვა.** მილიციის უფროსს აცნობეს, რომ აგვისტოს 26-ს ღამით ოსიპოვის ბინიდან (მიხეილის ქუჩა) რამდენიმე ბოროტმოქმედმა მოიპარა 50 ათასი მანეთის ღირებული საქონელი.

◆ **თავდასხმა.** აგვისტოს 26-ს ღამით ბათომის შესახვევში რამდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა გრიგ. რატიშვილს, სასურსათო სამინისტროს მოსამსახურეს და 47,000 მანეთი სამინისტროს ხაზინის ფული წაართვა.

◆ **დირექტორთა კრება.** კვირას ენკენისთვის 1-ს შუადღის 12 საათზე სახალხო განათლების სამინისტროს ბინაზე გაიმართება კრება საქართველოს საშუალო სასწავლებელთა დირექტორებისა, განსახილველია სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი.

◆ **უნივერსიტეტი.** ყოფილი ქართ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის მთელი შენობა ქართულ უნივერსიტეტს დაეთმო და სრულს მის განკარგულებაში გადავიდა.

◆ **ახალი კურსები.** მასწავლებლებს მამულაიშვილს და მილლერს განათლების სამინისტრომ ნება დართო გახსნას ტფილისში ქართულ ენაზე ყველა საგნებს მოსამზადებელი კურსები.

◆ **საპყრობილეთა ინსპექციაში.** ინსპექცია აცხადებს, რომ კვლავ მიიღებიან მსურველნი ტფილისის საპყრობილეთა დამცველ რაზმში სამსახურისათვის.

◆ **მასწავლებელთ კავშირი.** კვირას ენკენისთვის პირველს (1) (ახ. სტ). კადეტთა კორპუსში დილის ათ (10) საათზე არის დანიშნული აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებელებლების მასწავლებელთა კრება კავშირის დასაარსებლად. ამისათვის ვთხოვთ საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა საბჭოებს აღმოსავლეთ მხარისას გამოგზავნონ თვისი რწმუნებულები. ადგილობრივ მასწავლებლებს კერძოდ ბარათები არ გაეგზავნებათ. მომწვევი კომისია

◆ **სამხედრო სალამი.** სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ბრძანება გამოსცა, საქართველოს რესპუბლიკის არმიის ყველა ჯარის კაცისა და უფროსებისადმი, რომ ისინი ვალდებულნი არიან სამხედრო წესით სალამი მისცენ ხოლმე ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს, მინისტრ-პრეზიდენტს. და სამხედრო მინისტრს.

◆ **დანიშვნა.** სამხედრო მინისტრის ბრძანებით, გერმანიის ტყვეობიდან დაბრუნებულ არმიის კორპუსის ყოფილ შტაბის უფროს ადიუტანტს პოდპოლკოვნიკს ჯიჯიხიას პოლკოვნიკობა ებოძა აღნიშნულ თანამდებობაზე დამტკიცებით.

◆ **მატარებლების შეწყვეტა.** გზათა მინისტრის განკარგულებით სათბობ მასალის გამოლევის გამო დღეიდან დროებით შესწყვეტენ მოძრაობას ყველა მიმართულების სამგზავრო მატარებლები, გარდა საფოსტო მატარებლებისა №№ 3 და 4, და მათთან შეთანხმებით წყვილ მატარებლების რკინის გზის ტოტები. გზაში მყოფი მატარებლები საბოლოო პუნქტამდის მიდიან. მე-3, მე-4 მე-7 და მე-8 ნომერი მატარებლები იმოძრავებენ სალოლლისაკენ. ვინაიდან ადერბეიჯანის რკინის გზის სათბობს ხმარობენ გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოაკრათ განცხადებები მგზავრთა საყურადღებოდ.

◆ დღეს სალამოს 8 საათზე კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ზალაში (ალექსანდრეს ბაღი) კავკასიის თავისუფალ მოაზროვნეთა კავშირი მართავს საუბარს „რუსეთის დაღუპვა“, მონაწილეობას მიიღებენ ნაფიცი ვექილი უშაკოვი, ჩიქვაიძე და სხვანი.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

მთავარი კომიტეტის გადაწყვეტილებით ენკენისთვის 15-ს ქ. ტფილისში მოხდება საქ. სოც.-ფედ. სარევ პარტიის მე-3 თავისუფალი კონფერენცია. განსახილველი საკითხები: 1) მომენტი და ტაქტიკა 2) აგრარული საკითხი 3) მოხსენებანი ადგილებიდან. ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო მეტრი გადიდებულია. ყოველ 150 წევრზე ერთი დელეგატი იქნება.

ოთხშაბათს, აგვისტოს 28, პარტიულ კლუბის დარბაზში, სალამოს 7 საათზე შესდგება კახეთის რკინის გზის კოლექტივის მორიგი კრება განსახილველია სასწრაფო საკითხები. ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ

—

ხუთშაბათს, აგვისტოს 29, პარტიულ კლუბის დარბაზში, სალამოს 7 საათზე შესდგება მორიგი კრება საქართველოს რკინის გზების ცენტრალურ კოლექტივისა. განსახილველია სასწრაფო საჭირო საკითხები. დასწრება აუცილებელია.

—

**გორი** კვირას, აგვისტოს 25 გორში მოხდა სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის გორის სამაზრო კომიტეტის სხდომა. დაესწრენ წარმომადგენელნი გორისა, ხაშურისა, ბორჯომისა, ცხინვალის, ნიქზის, ახალქალაქის მეჯვრისხევის, წინარეხის და სხვა წარმომადგენელი. განსახილველი იყო საკითხები: სამაზრო ერობის არჩევნები და სახმოსნო კანდიდატთა სიის შედგენა. პარტიული მუშაობის გაძლიერება და სხვა.

როგორც პრეზიდიუმის მოხსენებიდან გამოიკვა, სოც.-ფედ. გორის კომიტეტი დარწმუნებული ყოფილა რომ ერობის არჩევნებში სოც.-ფედერალისტები სოც.-დემოკრატებთან ერთად გამოვიდოდნენ, ამიტომ კომიტეტს დამოუკიდებელი მუშაობა არ უწარმოებია. კომიტეტი ოფიციალურად შეეკითხვია სოც.-დემოკრატიულ პარტიის სამაზრო ცენტრს, თუ რა ტაქტიკას ადგია იგი გამოვა შეთანხმებულად სოც.-ფედერალისტებთან, როგორც ეს საქართველოს სხვა ადგილებში მოხდა, თუ დამოუკიდებლად აწარმოებს საარჩევნო კამპანიას. მაგრამ სოც. დემოკრატების სამაზრო ცენტრს დაუდგენია დამოუკიდებლად გამოსვლა და ასეთი პასუხიც გაუცია სოც.-ფედერალისტებისათვის.

რადგან ფაქტი იყო სოც.-დემოკრატების სამზადისი დამოუკიდებლად არჩევნებში გამოსვლისა—სოც.-ფედერალისტთათვის ორი გზა იყო ან დამოუკიდებლად გამოსვლა ან ბოიკოტი. სამაზრო კომიტეტმა დაადგინა გამოვიდეს არჩევნებში საკუთარი სიით და შესაფერისი აგიტაცია აწარმოოს მთელს მაზრაში შემხვდა სია კანდიდატებისა მაზრა დაყოფილია ცხრა საარჩევნო ნაწილად თითო ნაწილი ირჩევს ხუთს ხმოსანს.

არჩევნები მოხდება სექტემბრის 1 შემდეგ ნაწილებში: ბორჯომსა, ხაშურსა, გომსა და გორში. დანარჩენ ადგილებში არჩევნები შემდეგ მოხდება.

სამაზრო კომიტეტმა იმსჯელა სხვა და სხვა პრაქტიკულ ხასიათის საკითხებზე მიიღო შესაფერისი რეზოლიუციები. მეორე კრება უნდა მოხდეს არჩევნების შემდეგ.

## ჟურნალისტის დღიური

3.

### პროპაგანდა

ყოველივე იდეას ხალხში გავრცელება უნდა. დღემდის თითქმის ყველა პროპაგანდისტს საჭიროდ მიაჩნია აღენიშნა უარყოფითი ხარეში თვითმპყრობელობისა და ხალხის გონების წინ გადაეშალა სურათი მომავალი უკეთესი ცხოვრებისა. მაგრამ ამ პროპაგანდას ყოველთვის ერთი დიდი ნაკლი სდევდა თან: იგი ძალიან ცოტა დადებითს ცოდნას აძლევდა ხალხს იმის შესახებ, თუ რა არის რესპუბლიკა, პარლამენტარიზმი, მთავრობის პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე და სხვა.

დღეს ჩვენ არამც თუ დამოუკიდებელნი ვართ, რესპუბლიკანურ წესწყობილებაშიაც ვსცხოვრობთ. მაგრამ ერთსაც და მეორესაც განმტკიცება უნდა, ფესვების გამაგრება. განმტკიცება კი შეუძლებელი გაჰხდება, თუ ხალხმა სწორი და ნათელი წარმოდგენა არ მიიღო იმისა, თუ რა პრინციპიალური განსხვავება არსებობს ძველსა და ახალ წესწყობილების, თვითმპყრობელობასა და რესპუბლიკის შორის. ბევრგან თავისუფლება ისე გაიგეს, თითქოს არამც თუ ცალკე სახელს, ცალკე ადამიანსაც კი ისე შეუძლიან მოიქცეს, როგორც თითონა ჰსურს. ამიტომ, როდესაც რესპუბლიკანური წესწყობილების განსამტკიცებლად მთავრობა იძულებითსა და სასტიკს ზომებს იღებს, როდესაც მთავრობა ხალხსა სთხოვს კანონის ასრულებას, გადასახადების გაღებას, სამხედრო ბეგრის მოჰხდას. ხალხს ეს ძველი რეჟიმის აღდგენად ეჩვენება. არამც თუ ხალხის ფართო მასაში, ხშირად პროვინციელი პოლიტიკური მოღვაწეებისაგანაც გაიგებთ საყვედურს, იძულებითი ძალის ხმარება დამნაშავეთა წინაშე დღეგაც კი არ შეიძლებაო. ვერ შეჰრიგებიან იმ აზრს, რომ მთავრობა მცხოვრებლებს გადასახადსა სთხოვს, ვერ შეჰრიგებიან იმას, რომ ხალხს სთხოვენ მთავრობის განკარგულებათა ასრულებას უკრიტიკოდ და უყოყმანოდ, ვერ წარმოუდგენიათ, რომ კანონი ყოველგან და ყოველთვის კანონია და მისი დარღვევის უფლება არავისა აქვს.

ყველაფერი ეს იმით აიხსნება, რომ არამც თუ ხალხის ფართო მასსას, ხშირად ისეთებსაც კი, რომელთაც თითქოს ერთგვარი პოლიტიკური აღზრდა მიეღოთ, ნათლად ვერ წარმოუდგენიათ ხასიათი პარლამენტარისტული წეს წყობილებისა.

ამას დროზე უნდა შველა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ გარემოებას უპირველესად ყოვლისა სახალხო განათლების სამინისტრომ უნდა მიაქციოს ყურადღება. სამინისტრომ სოფლის მასწავლებლებს უნდა დაადოს ვალდებულება—საუბარი ჰმართონ მცხოვრებლებთან, გამართონ საჯარო ლექციები იმის შესახებ, თუ რა არის პარლამენტარიზმი, რა არის წარმომადგენლობითი სისტემა, საყოველთაო საარჩევნო უფლება და საზოგადოდ რა განსხვავება არსებობს ძველსა და ახალ წეს წყობილების შორის.

როდესაც ხალხი ამას კარგად შეიგნებს, დამოუკიდებლობისა და რესპუბლიკის განმტკიცება ჩვენთვის უფრო ადვილი იქნება.

შინაური.

## ცოტა რამ ქართველ ოფიცრებზე

(პასუხად არ. ჯაჯანაშვილს)

„სახალხო საქმის“ № 307 იყო მოთავსებული არ. ჯაჯანაშვილის წერილი „რეგულიარული ჯარი“, სადაც პატივცემული ავტორი აგვიწერდა ჩვენი ქვეყნის კრიტიკულ მდგომარეობას, ჩვენი დაუძინებელი მტრების ესირცხვილო მოქმედებას, პროვოკაციას, მოგვიწოდებს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, და ბოლოს იმ დასკვნამდის მიდის, რომ „საჭიროა ისეთ ძალის შექმნა, რომელიც განამტკიცებს ჩვენს სახელმწიფოს და ნიადაგს მოუმზადებს სხვათა შორის იმავე მილიციის შექმნას, რომელიც დასახული აქვთ მიზნად სოციალისტებს“. და ასეთ ძალად კი მას დღეს-დღეობით რეგულიარული ჯარი მიაჩნია. დიახ, გავიმეორებ პატივცემულ ავტორის სიტყვებს „მხოლოდ საქართველოს აშკარა მტერს ან პოლიტიკურ ... და დაბალ ხარისხის ... შეუძლიან დაინახოს, რანაირ ... იმყოფება დღეს საქართველო“. ... არ გაიხედავ მტერია. არსაიდან მოყვრის ხმა არ ისმის, არსაიდან შველას არ ველით.

მაგრამ მე მეინტერესება ამ შემთხვევაში წერილის ბოლო ნაწილი, სადაც ავტორი შეეხო ოფიცრობას და უსაბუთო ბრალი დასდო მათ. მაინტერესებს ეს საკითხი იმიტომ კი არა, რომ ოფიცერი ვარ და მსურდეს მაინცა და მაინც ისინი როგორც ჩემი ამხანაგები დავიცვა, თუგინდ დამნაშავენიც იყონ. ან კიდევ „პოლიტიკანობის საღერღელი მქონდეს აშლილი და ვშიშობდე, რომ რეორგანიზაცია ოფიცერთა რიცხვიდან გამრიყავს, როგორც უვარგისს ან შეუფერებელს“, მე მაინტერესებს ეს იმიტომ, რომ აქ ვხედავ ერთგვარ მოქალაქობრივ უფლების აყრას ოფიცრებისადმი და მათ უდანაშაულოთ შეურაცხყოფის. მაინტერესებს მით უფრო რომ ეს წერილი ეკუთნის „სახალხო საქმის“ ერთ თანამშრომელთაგანს და სოც.-ფედ. პარტიის გამოჩენილ წევრს.

როდესაც ბ-ნი ჯაჯანაშვილი ოფიცრობას შეეხო კარგად უნდა სცოდნოდა მათი წარსული და დღევანდელი ცხოვრება, და ამიტომ მეტად მიმაჩია მათი აქ აღწერაც. შევეხები მხოლოდ მოკლედ მათ მნიშვნელობას და მოღვაწეობას რეგულიარულ ჯარში.

უპირველესად ყოვლისა ჯარის შესაქმნელად, როგორც ბ-ნი ჯაჯანაშვილი სწერსსაჭიროა „ოფიცრების გაცხრილვა“. პირადად და მგონი სხვაც ბევრი ვინც საქმესთან დაახლოვებულია, ამას ასე გაიგებდა: საჭიროა დარჩნენ ოფიცრებად უფრო ცნებიანი ელემენტები, სპეციალისტები, სამხედრო საქმის კარგად მცოდნენი, კარგი სამხედრო მასწავლებლები, მიუხედავად მათი პოლიტიკური მიმართულებისა, (რა საკვირველია თუ პროვოკატორი არ არის და ძველი რუსეთის მკვდრეთით აღდგომას არ ფიქრობა, ვინაიდან ამ ჯურის ხალხსაც თავი პოლიტიკოსებად მოაქვთ). ბ-ნი ჯაჯანაშვილის სიტყვით კი „ჯარში მხოლოდ ისეთი ოფიცრობა შეიძლება დარჩეს, რომელსაც შეუძლიან ახალ დემოკრატიულ წეს-წყობილებას შეეგუოს და ჯარის კაცეთან ისეთი დამოკიდებულება დაიჭიროს, რანაირიც ჩვენ დისციპლინის საუკეთესო საწინდარად მიგვაჩნია“. ნუ დავივიწყებთ, რომ ჯარი რომელ სახელმწიფოსაც არ უნდა ეკუთნოდეს ის, სოციალური რესპუბლიკა იქნება თუ მონარქია, ყველგან ერთსა და იმავე ფუნქციას ასრულებს ერთსა და იმავე სამხედრო დისციპლინით არის გამსჭვალული. ჯარი უნდა წარმოადგენდეს აღმასრულებელ ძალას, რომელიც შეუძლიან მოიხმაროს მთავრობამ თავის ნებაზე, ხოლო ამისათვის კი საჭიროა სამხედრო დისციპლინა, რომელიც უბრალო მოქალაქიდან ჰქმნის ისეთ ჯარის კაცს, რომელიც მზად არის ყოველივე ბრძანებას უფროსისას უყოყმანოდ დაემორჩილოს. ყოველივე დამოკიდებულებაზე ლაპარაკი ოფიცერსა და ჯარისკაცს შორის წყლის ნაყვაა მანამდის, სანამ გამოცემული არ იქნება წესდება დისციპლინის შესახებ (Дисциплинарный устав). დარწმუნებული იყავით, რომ ამ წესდებაში ვერასფერს დემოკრატიულს ან მონარქისტულს ვერ იპოვით. ეს წესდება რომ გამოვა, მაშინ სამართლიანად მიმართეთ ოფიცერს და ჰკითხეთ: შეგიძლიანთ თუ არა ამას დაემორჩილოთ, და გარკვეული პასუხიც მიიღოთ. დღეს კი ოფიცერი თვით ვერ გამორკვეულა დარჩეს თუ არა ჯარში. რაც შეეხება დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეგუებას, ამაზე მოგახსენებთ, რომ ოფიცერი ჯარში დარჩება იმ შემთხვევაში, თუ ის სამხედრო წესებს შეეგუა და არა მარტო რესპუბლიკას. (შემიძლიან რესპუბლიკას შევეგუო მაგრამ ჯარში არ დავრჩე, რადგან სამხედრო დისციპლინას ვერ შევეგუე).

„ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს, ამაზე ყველაზე მეტად თვით „ოფიცრებს უყვარს ლაპარაკი. ეს სამხედრო სიბრძნედ არის მიჩნეული მათ წრეში“. საინტერესოა ოფიცრების წრეში მარტო არის ეს მიჩნეული პოლიტიკურ სიბრძნედ თუ სხვა უფრო ავტორიტეტულ წრეებშიაც და კერძოდ ავტორის შიგრაც. რადგან ავტორი მომხრეა პოლიტიკაზე ლაპარაკი მოისპოს თვით ოფიცრებშიაც, რაც მე მგონი ყოვლად შეუძლებელია.

როგორ შეგიძლიათ თქვენ აუკრძალოთ ლაპარაკი, კრიტიკა, წერა ადამიანს? და ისიც სად? დემოკრატიულ

რესპუბლიკაში, სადაც თვით რესპუბლიკის ძირის მთხრელებსაც კი აძლევენ ლაპარაკის ნებას! საკვირველია! მე აქ ვერაფერ დემოკრატობას ვხედავ. მაშასადამე პარტიაში მყოფი ოფიცრები იძულებული არიან მიატოვონ პარტიული მუშაობა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ოფიცრები არიან. რატომ? რას უშლის ეს მათ ოფიცრობას? ნუ თუ ჩვენთვის საჭირო არიან ისეთი ოფიცრები, რომელთაც სამხედრო საქმის მეტი არაფერი ეცოდინებათ და დანარჩენ ხელოვნების დარგებში კი „ტორიჩელის სიცარიელეს“ წარმოადგენდენ. დამერწმუნეთ ნიკოლოზის დროსაც კი ცდილობდნენ ზოგიერთი „პოლიტიკოსი“ ოფიცერი გაეზარდათ, რადგან სამხედრო მინისტრად სამხედრო საქმის მცოდნეც უნდა იყოს და პოლიტიკოსიც. ასე რომ ოფიცრების შებოჭვა ამ მხრივ ვერაფერს სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს და თუ ამბობენ, ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგესო, ეს იმას ნიშნავს, რომ ჯარი მთავრობამ უნდა გამოიყენოს ისე, როგორც მას ესაჭიროება და არა ისე, როგორც ჯარი გადასწყვეტს მიტინგზე. ჯარს შეუძლიან გადასწყვიტოს ბრძოლის ველზე: გამარჯვება თუ დამარცხება, მაგრამ მას არ აქვს უფლება გადასწყვიტოს: გამოუცხადოს სახელმწიფომ ომი ვისმეს თუ არა. ოფიცერს შეუძლიან კრიტიკა გაუკეთოს მთავრობის მოქმედებას, (მით უმეტეს როდესაც ეს მას შეეხება) მაგრამ ის უარს ვერ იტყვის ომში წასვლაზე.

გარდა ამისა, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ უყურებს პატივცემული ავტორი ოფიცრობას, როგორც პროფესიას თუ, როგორც სამხედრო ბეგარის მოხდას. თუ სამხედრო ბეგარა არის, განსაზღვრული დრო უნდა ჰქონდეს და მაშინ ასატანი იქნება ყოველივე შევიწროება მაგრამ თუ ოფიცრობას პროფესიად ჩავსთვლით მაშინ საჭიროა მათაც ისარგებლონ იმ უფლებებით, რა უფლებითაც სარგებლობენ სხვა პროფესიონალური კავშირები.

ბ-ნ ჯაჯანაშვილს დიდ ცოდვად მიაჩნია ოფიცრებისადმი, (მადლობა ღმერთს რომ კონტრ-რევოლიუციონერები არ გვიწოდა) რომ მათ მოთხოვნილებისასრულება უთხოვნიათ მთავრობისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში წასვლა გახუწრახავთ. ნეტა სად არის აქ პოლიტიკაში ჩარევა? აქ თუ დააკვირდებით, კუჭის საკითხია და უკაცრავად თუ მშიერ კუჭზე არამც თუ მუშაობა, ტყუილად ყოფნაც ძნელია. ოფიცრებმა თუ უარი განაცხადეს სამსახურზე, იმიტომ რომ სამსახური აუტანელი შეიქმნა. ამის მიზეზი კი გახლდათ ოფიცრების უმწეო მატერიალური მდგომარეობა და ჯარის სრული დეზორგანიზაცია.

სამხედრო უწყებას თითქმის არავითარი ზომები არ მიუღია აქომამდე ოფიცრების უზრუნველყოფისათვის და ამ მხრივ ქაღალდებზე წერის მეტი არა გაკეთებულა რა. მიზეზი? ჩვენც ვსდუმდით, ველოდით, რომ მთავრობა კუთვნილ ლუკმას, თუ არა მოწყალებას მაინც მოიღებდა და შიმშილით არ მოგვკლავდა. დღეს კი ჩვენ ვერსად ჩვენზე ზრუნვას ვერ ვხედავთ. ჯამაგირები მომატების მაგივრად მოგვიკლეს. ოფიცრები სდუმან და უყოყმანოდ სამხედრო წესის და მიხედვით სამსახურს სტოვებენ და მიდიან, რომ ლუკმა პური იშოვონ და ოჯახი შიმშილით არ ამოუწყდეთ. მადლობა ღმერთს არ გაფიცულან არავის დამუქრებიან, არ მოუთხოვიათ, რომ მთავრობამ პოლიტიკა შეცვალოს და სხ.

შეგიძლიათ ბ-ნო ჯაჯანაშვილო ამას პოლიტიკაში ჩარევა უწოდოთ, ან უსაბუთო მოთხოვნილებათ ჩასთვალოთ? თქვენ უთუოდ არ გინახავთ ოფიცრები როგორ თავიანთ ზურგით ზიდავდენ [illegible] სახაზინო ქონებას საწყობებში, რომელიც უპატრონოდ ეყარა და გამხეცებული ბრბოები იტაცებდნენ.

თქვენ არ გინახავთ თუ როგორ ასრულებდენ ოფიცრები უბრალო ჯარისკაცის მოვალეობას და თოფით ხელში დარაჯებად სდგებოდნენ პოსტებზე

დღეს ოფიცრობა მოითხოვს რომ მათი ცხოვრება გააუმჯობესონ და ისინიც სხვა მოქალაქეებთან ერთად ადამიანებად ჩასთვალონ. ოფიცრები მიდიან მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სამშობლოს გაეფიცებოდნენ და ბოიკოტს უცხადებდნენ. არა ისინი თვითარსებობისათვის საბრძოლველად მიდიან და დარწმუნებული იყავით რო [illegible] საქართველოს საბედისწერო ზარი ჩამორეკს, ისინი მზად იქნებიან პირველებმა მიუშვირონ გული მტრის მიერ აღმართულ იარაღს. დარწმუნდით ბ-ნო ჯაჯანაშვილო, აქ გაფიცვა არ არის, პოლიტიკაში ჩარევა არავის უფიქრია. აქ ლუკმა პურის საკითხია.

ბ-ნი ჯაჯანაშვილი კიდევ ამბობს; „ასეა თუ ისე, ასეთი მიმართულება ოფიცერთა წრეში მოსასპობია. თუ ჯარში პოლიტიკა არ უნდა იყოს, მაშინ ეს პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა განდევნილ უნდა იყოს ოფიცერთა წრიდან... თუ საჭირო იქნება ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, ბევრგან დისციპლინა ჯარში იმიტომ ირღვევა რომ თვით ოფიცრები პოლიტიკის გარეშე ვერა სდგებოდნენ და ამით ხელს უწყობდნენ დისციპლინის დარღვევას.

დისციპლინის დარღვევაშიაც მიუძღვის ოფიცრობას ბრალი!! სასაცილოა „სამოსუდებშიდაც“ მიუძღვით ბრალიო, რომ გეთქვათ უფრო დასაჯერებელი იქნებოდა ღმერთმანი. ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, დე, მკითხველმა გადასწყვიტოს, ვინ დაარღვია დისციპლინა მიტინგის მყვირალა ორატორებმა თუ ოფიცრებმა? და შეეძლო თუ არა ოფიცერს ცოტათ თუ ბევრად „პოლიტიკური“ არ გამხდარიყო, ან ჯარის-კაცისთვის „ტოვარიშჩი“ არ დაე[ძა]ხნა სამსახურის დროსაც კი, რომ მათ თვითი გასამართლებას გადარჩენოდა. ბევრი რამ არის სათქმელი, მაგრამ პირი წყლით არის სავსე და ყველა ამის შემდეგ ცოტაოდენი მორიდება მაინც უნდა გქონოდათ ბ-ნო ჯაჯანაშვილო და ფეხი არ დაგებიჯებინათ და შეგურაცხოთ უსაბუთო ბრალდებებით ისედაც დევნილი და დამცირებული ოფიცრობა.

დასასრულ იმედია, საპასუხო წერილში კრიტიკანობას არ დამიწყებთ და მოკლედ და გადაჭრილად მიპასუხებთ შემდეგ საკითხებზე: 1, არის თუ არა ქართველი ოფიცრობა საჭირო და სანდო ელემენტი, 2, სამართლიანია მათი მოთხოვნილება და საჭიროა მათი დაკმაყოფილება თუ არა და 3 საჭიროა თუ არა ოფიცრობაც სარგებლობდეს მოქალაქობრივი უფლებებით?

ქართველი ოფიცერი.

## სოფლად და ქალაქად

ს. მეჯვრისხევი

ერთ თვეზე მეტია, რაც სოფ. მეჯვრისხევსა და მის გარშემო ზოგიერთ სოფლებში ხალხი გულის რევით და მუცლის ტკივილით იხოცება და ასეთი დიდი რაიონი ასე უპატრონოდ არის დატოვებული, არც ექიმი, არც წამალი ამათთვის არა სუფევს, მაგრამ უმთავრესი უბედურება იმაში გამოიხატება, რომ ხალხი მალავს ამ ავადმყოფობას, განავალსა და გულის ნარევს იქვე კარმიდამოზე ან წყალში აქცევს და გასაკურნავად მკითხავსა და დალაქს მიმართავს. საჭიროა დაუყონებლივი დახმარება, თორემ ანტიჰიგიენური მდგომარეობა ჩვენის ხალხისა და შავი ტლაპოსავით მომდინარე წყლები ფრიად ხელს უწყობს ამ სენის გავრცელებას.

## ამხანაგის ხსოვნას

კიდევ ერთი შესამჩნევი ვაჟკაცი გამოასალმეს წუთისოფელს; კიდევ ერთი სიმხეცის მოწმე შევიქენით: ქ. გორში მხეცურად მოჰკლეს სიცოცხლით სავსე, იშვიათი გულისა და სპეტაკ ზნეობის მქონე ადამიანი—დათიკო წერეთელი. ეს სახელი არაფერს ეუბნება ფართე საზოგადოებას: დათიკო არ იყო პოპულიარული პიროვნება; უმცა თავისუფლად შეეძლო მოეხვეჭა სახელი თვისი ნიჭითა და პირადი თვისებებით.

ჩემთვის, განსაკუთრებით ჩემთვის ძალიან ძნელია ლაპარაკი და წერა იმ ადამიანზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ახლობელი ნათესავი იყო და ამასთანავე საუკეთესო მეგობარი-ამხანაგი. დათიკო არ იყო ჩვეულებრივი, უხალისო და იმედ-გაცრუებული ახალგაზრდა; მას არ აკმაყოფილებდა ყოველ დღიური წვრილმანი მოვლენები ჩვენი უკუღმართი არსებობისა; იგი სულ ახალის ძიებაში იყო; მის ჭაბუკს გულს არ დასცალდა ახალგაზრდური ოცნებების ცხად ყოფა, იმედების სინამდვილეთ ქცევა. მხეცებმა, ჩვენი ქვეყნის მტრებმა, ხამი[ა]ლებმა, როსტომიანცების პროვოკაციამ მოსხვერალა ნიჭით აღსავსე პიროვნება, მშრომელი ხალხის მოსარჩლე, გვარდიელების ერთი აქტიური მოქმედი პირი.

პეტერბურგის სტუდენტობა 1907—1915 წ.წ. კარგად იცნობდა დათიკოს; იცნობდა მას, როგორც ნიჭიერს ახალგაზრდას, აჟღერებულს სიტყვა მოსწრებულს,—ამხანაგის გამტანს—მის დამხმარეს. განსხვავებული თვისი მომხიბლავი თვისებებით იპყრობდა ამხანაგების ყურადღებას და მის გარშემო იკრიბებოდნენ ისინი. მისი გარეგნობაც ჰხიბლავდა ამხანაგთა და მეგობართ: ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცურის შეხედულობისა, მხიარული და იმედის მომგვრელი.

რაც უნდა გულგატეხილი ყოფილიყავით, სასოწარკვეთილი და უიმედო—დათიკოს შეხვედრა იმედს მოგვრიდა, მისი სიტყვა გაგამხნევებდა, დაგამშვიდებდა. თამამად შემიძლია ვსთქვა, იმ დროინდელ სტუდენტობაში დათიკო განირჩეოდა თავისი ხასიათის სიმტკიცით, ნიჭით, თვისებებით საზოგადო საქმისთვის გაჩენილს, საზოგადოებრივ ალღოთი აღჭურვილს პიროვნებას ბედმა სულ სხვანაირად გადაუბრუნა ცხოვრება.

უნივერსიტეტის კურსის დამთავრების შემდეგ, იგი გაწვეული იყო ჯარში და იძულებული შეიქმნა სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. სამხედრო სკოლამ და სამსახურმა სრულებით ვერ გამოსცვალეს იგი: დათიკო დარჩა ისევ უბრალო, მშრომელი ხალხის მოსარჩლე, გულითა და სულით დემოკრატი. იგი მეთაურობდა ერთ-ერთ წითელ რაზმის ასეულს. და ასეთი პიროვნება შეიქმნა მსხვერპლი ალვირ აშვებულ თავგასულობისა და სიმხეცისა.

ამხანაგებმა მასში დაჰკარგეს საუცხოო მეგობარი, ძვირფასი ამხანაგი,—მშრომელმა ხალხმა—დემოკრატიამ-კი თავგამოდებული მებრძოლი—გმირი.

კ. ა—ძე.

## სწავლის საქმე ჩვენში

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანაო!“ ნათქვამია, და ამიტომ ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება, თუ გადავხედავთ ჩვენებურ სკოლებს და აღვნიშნავთ, რა არის საჭირო მათში სწავლა-აღზრდის უკეთ დასაყენებლად, პირველად შევეხოთ მასწავლებელს.

ვინ არ იცის, რა დუხჭირ პირობებში იმყოფება საზოგადოდ მასწავლებელი? მისი სიღარიბე საარაკო გამხდარა! მართალია, ჯამაგირი დღეს გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე ძველად, მაგრამ სიძვირე გაცილებით კიდევ უფრო დიდია, ვიდრე დღევანდელი ჯამაგირი. ადვილად წარმოსადგენია ამ ჯოჯოხეთურ სიძვირეში რა ჯოჯოხეთური უნდა იყოს მასწავლებლის მდგომარეობა.

გადავიდეთ შემდეგზე: უნდა ითქვას, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო, სწავლის საქმე ძალიან შეფერხებულია ჩვენს სკოლებში ეს ოთხი წელიწადია ომის განმავლობაში, სამოსწავლო წელი ბოლომდის არც ერთხელ არ მისულა, ხან გადამდებ სენის გავრცელებისა, ხან თათრების შემოსევის საბაბით უდროოდ სწყდებოდა სწავლა. ამას ის სარგებლობა მოჰქონდა მხოლოდ, რომ ნაწილი მასწავლებლებისა გაჰყავდათ ჯარში. ისინი იქ იტანჯებოდნენ, და აქ კი შინ დარჩენილი უმრავლესობა სკოლებში მუშაობიდანაც თავისუფალი იყო და არხეინად გრძნობდა თავს.

შარშან რევოლიუციის მოხდენისთანავე დაიხურა სკოლები და ნახევარ წელიწადს არაფერი გაკეთებულა. წელსაც სწავლა რამდენიმე თვით ადრე შესწყდა და ჯერ კიდევ არ განახლებულა. მიზეზი თათრების შემოსევა იყო და მიზანი ვითომ მასწავლებლების ომში წასვლა თათრები კი მართლა მოდიოდნენ, მაგრამ შინ დარჩენილი მასწავლებლები არც ახლა გასულან სამშობლოს დასაცავად. ამ რიგად მოსცდა სკოლაც და ჯარსაც არაფერი შეემატა.

ასეთი მოქმედება არ შეეფერება არც მასწავლებლებს და არც მთავრობას. თუ ყოველივე სამსახურის კაცია ვალდებულია თავის სადარაჯოზე უკანასკნელ შესაძლებლობამდის დარჩეს, ასევე უნდა რჩებოდნენ მასწავლებლებიც. ჩვენ რომ ხალხთან ვყოფილიყავით მიელ ამ აფორიაქებულ დროის განმავლობაში, ჩვენ რომ გვესწავლებინა ბავშვებისთვის, ჩვენ რომ ხალხისთვის აგვეხსნა სამშობლოს მდგომარეობის სიდუხჭირე და საჭირო შემთხვევებში წინამძღოლობაც გაგვეწია მათთვის — დღევანდელ გაუგებრობას, ძმათა სისხლის ღვრას, საარაკო შეუგნებლობას არ ექნებოდა ჩვენში ადგილი.

ადამიანს უნდა ჰქონდეს გარკვეული მიზანი, რომ მისი მოღვაწეობიდან რაიმე გამოვიდეს, მხოლოდ მაშინ იქნება მისი ჭაპან-წყვეტა ნაყოფიერი. ჩვენც, მასწავლებლები, ვით ერთი კაცი, ერთი პიროვნება, უნდა ვემსახურებოდეთ ერის განათლების საერთო მიზანს და ყველანი შრომის საზრიანი განაწილებით ვმუშაობდეთ იმის განსახორციელებლად. ნუ ვიტყვით, რომ დრო არ გვრჩებოდეს ამისთვის, რასაკვირველია, თუ მივიღებთ სახელმძღვანელოდ იმ აზრს, რომ დრო ფულია და არც ერთი წუთი უქმად არ უნდა დაიკარგოს.

რა არის ჩვენი მორიგი საქმე? ისე გავაჩაღოთ სწავლა გაქართულებულ სკოლებში, რომ თვალსაჩინოდ დავანახოთ ბავშვებსაც და მშობლებსაც შეუდარებელი უპირატესობა სკოლის ნაციონალიზაციისა; უნდა მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ სახელმძღვანელოების შედგენაში, არსებულ სახელმძღვანელოთა შესწორებაში; ჩვენ გაბნეული ვართ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში, სადაც სხვა და სხვა სიტყვა იხმარება სხვა და სხვა ცნების გამოსახატავად. ჩაწერა ამ სიტყვებისა და გამოქვეყნება დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი სამეცნიერო თერმინოლოგიის შემუშავებას, რომლის უქონლობასაც ასე მწვავედ განვიცდით.

მასწავლებელი სულ უნდა მუშაობდეს თვით - განსავითარებლად. ნათქვამია, „ვინც წინ არ მოდის, ის უკან რჩებაო!“ და მასწავლებელს, როცა ის სხვისი მასწავლებელია, უკან ჩამორჩენა არ ეპატიება. მას მოეთხოვება კვალში მისდიოს პედაგოგიურ მეცნიერების განვითარებას, მრავალ მხრივ უტრიალოს თავის საგანს, გათვალისწინებული ჰქონოს ცხოვრების საერთო მიმდინარეობა, რომ სიცხოველე-სიმკვირცხლის შეტანა შეეძლოს იმ მართლა მკვირცხლ და ფხიზელ ხალხში, რომელსაც ბავშვები წოდება. ვინც ასე არ იქცევა, ის ცოდვას სჩადის, ის საცოდავია. რადგანაც მისი გული ვერასოდეს იქნება კმაყოფილი, როგორც ისეთი ადამიანის, რომელსაც დაკისრებული დიდი მოვალეობა ვერ შეუსრულებია.

მაგრამ სწავლის საქმის წარმატება მარტო მასწავლებლებს არ ძალუძთ, საჭიროა კარგი გზის მაჩვენებელი, კარგი ხელძღვანელები, გარკვეული, მტკიცე და ცხოვრებასთან შეფარდებული პროგრამა, რომლის ასრულებაც სავალდებულო იქნება და აუსრულებლობა კიდევ დანაშაულობა. სამოსწავლო მთავრობამ სკოლებს უნდა მისცეს პროგრამა და დაუყენოს აგრეთვე გამოცდილი მეთვალყურეები, რომლებიც ხშირად დაათვალიერებენ სკოლებს, გაახალის-გააფრთხილებენ მოწაფეებს და მათ მშობლებს და მასწავლებლებსაც სამართლიანი მოპყრობით და საქმიანი შენიშვნებით სწორ გზაზე დააყენებენ. სკოლების ასეთი მეთვალყურეების დანიშვნა ისევე საჭიროა, როგორც ჯამაგირის მიცემა მასწავლებლებისთვის, რადგანაც რაც უნდა კარგად ესმოდეს ადამიანს თავისი მოვალეობა, თუ არავინ თხოულობს იმისგან ანგარიშების ჩაბარებას, არ შეიძლება იმან ერთნაირის ინტენსივობით და გულმოდგინეობით განაგრძოს საქმე. საერთოდ, გარკვეულად და შეურყეველად უნდა იყვეს ხოლმე ნაჩვენები: რა გაკეთდეს! და აუცილებლად უნდა მოჰყვეს კანტროლი— როგორ გაკეთდა?

საჭიროა აგრეთვე, სწავლის პირობები ბავშვებისთვის სკოლაში იმდენად შეიცვალოს, რომ ბავშვებს დააიწყდესთ. სკოლის კედლებში ყოველივე ის, რაც აწუხებთ ოჯახში უწიგნობა, ურვეულობა, სწავლის ფულის უქონლობა ტანჯვის წყაროდ არ უნდა დარჩეს ბავშვისთვის. ამაზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. აგრეთვე სოფლის ხალხი უნდა განთავისუფლდეს იმ მცირე პირდაპირი ხარჯებისაგან, რომელიც მას სკოლის შესანახად ხდება, რაც უსიამოვნებას და საყვედურებს იწვევს მასში მასწავლებელ-მოწაფეთადმი. მთავრობას აქვს სხვა გზები, რომლითაც მას ხალხიდან სწავლის ხარჯების აკრეფა შეუძლიან.

აქვე უადგილო არ იქნება შევეხოთ მასწავლებლების მომზადების საკითხსაც. საქართველოში სამი თუ ოთხი სასწავლებელია, საიდანაც შეიძლება მომზადებული მასწავლებლები მივიღოთ, მაგრამ ისინი თუ ჯეროვნად არ გადაკეთდნენ და იმათი რიცხვი არ გამრავლდა, ჩვენს გაქართულებულ სკოლებს სათანადო რიცხვი მომზადებული მასწავლებლებისა არ აღმოაჩნდება და ვერც ჩვენი სანატრელი მიზანი საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღება მოხდება.

დასასრულ, სწავლის საქმე ცოცხალი საქმეა, იმას ეჭირვება თვით-მოქმედება, როგორც მასწავლებლის, ისე მოწაფეთა მხრივაც. მაგრამ რადგანაც ტონის მიმცემნი და ხელმძღვანელნი მასწავლებლები ვართ, ამიტომ ჩვენ სულით და გულით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს წმიდა მოვალეობას, ათკეცი ენერგია უნდა გამოვიჩინოთ, რადგანაც ბურჯი ჩვენი ცხოვრებისა — დედა ენა — რომელსაც დღემდის ბორკილები ედვა—დღეს თავისუფალია! ქართველი ერის წინაშე გადაშლილია მომხიბვლელი პერსპექტივები, თავისუფალ საქართველოს ოცნება სინამდვილეთ იქცა, ოქროს აკვანი ბაზალეთის ტბის ძირიდან ამოღებულია, ის ნორჩი ყმა, რომელიც მასში იწვა, იზრდება წლობით კი არა, საათობით და წუთობით, ის განსახიერებაა თავისუფალ საქართველოს [illegible], რომლის აღმზრდელ-მასწავლებლის [illegible] ლი ბედისწერას ჩვენთვის [illegible] ჩვენც შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობის და მოვალეობის სიმძიმე, რომ ჩვენთვის ძნელია ამ ტვირთის ზიდვა, ჩვენ მოუმზადებელნი ვართ ამისთვის, მაგრამ ჩვენ თავისუფალ საქართველოს თავისუფალი შვილები ვართ, ჩვენ გვინდა შევძლოთ პირნათლად შესრულება ჩვენი მოვალეობისა სამშობლოს, წინაშე და ჩვენ ამას შევძლებთ!

ს. აბულაძე.

## მოწოდება

საქართველომ დაიწყო თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, მისი მთავრობა ღირსეულად თავს გაართმევს ათას საჭირბოროტო საკითხს, მაგრამ უმთავრესი მაინც თვით ხალხის დახმარებაა, მისი ნდობა, მის მიერ მხარის დაჭერა.

სხვათა შორის საქართველოს უმთავრესად საზრუნი აქვს მეცნიერება და ხელოვნება ეს ორი ბურჯი, რომელზედაც დაყრდნობილია კულტურულ ერის, სახელმწიფოს ცხოვრება.

ჩვენა გვაქვს უკვე ქართული უნივერსიტეტი, გვაქვს ქართული თეატრი, მათ შესახებ ზრუნავს მთავრობაც, მაგრამ ამ საქმეშიაც ხალხმა, ერმა თუ არ მიაწოდა თავისი წვლილი ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას, ორივეს საქმე დიდათ შეფერხდება.

ამ ჟამად განზრახულია, რომ ორივ საქმისათვის მოწყობილ იქმნას მომგებიანი **ხუთი მილიონის ლატარია,** რომლის წმინდა შემოსავალიც მოხმარდება აღნიშნულ დაწესებულებათა აღორძინებას და სახელდობრ: ქართულ უნივერსიტეტს ნახევარი წმინდა მოგებისა ჩაერიცხება ხელშეუხებელ თანხად, ნახევარიც გადადებულ იქმნება ქართულ თეატრის ღირსეულ შენობის ასაგებად და 5%-ც წმინდა მოგებისა გადაიდება ქართველ მსახიობთა კავშირისათვის.

როგორც ხედავთ მიზანი ფრიად საჭირო და ხელშესაწყობია. მხოლოდ საჭიროა, მთელი ქართველობა გამოეხმაუროს ამ საქმეს, შეიძინოს ლატარიის ბილეთები და ამითი შემოკრბეს განზრახული თანხა —ხუთი მილიონი

ესეთი დიდი თანხის შემოკრება კი არც ისე გაძნელდება, უკეთუ როგორც კერძო პიროვნებანი, ისე სხვა და სხვა დაწესებულებანი—ბანკები, კოოპერატივები და სხვ.—ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ბილეთების გასაღებას. თვით ლატარიის პირობები შემდეგია:

**ლატარიის უმთავრესი პირობანი:**

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულობისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია ბილეთი ოცდახუთი მან. ღირს. კუპონი ხუთი მან.

2. მოგების დასაფარავად გადადებულია ნახევარი მილიონი მანეთი, და მოგებათა რაოდენობა ნაწილდება ამ გვარად:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მოგება | 100.000 | მან. | 100.000 | მან |
| 1 | „ | 50.000 | „ | 50 000 | „ |
| 1 | „ | 25.000 | „ | 25.000 | „ |
| 2 | „ | 10.000 | „ | 20.000 | „ |
| 3 | „ | 5.000 | „ | 15 000 | „ |
| 5 | „ | 1 000 | „ | 5.000 | „ |
| 50 | „ | 500 | „ | 25.000 | „ |
| 180 | „ | 250 | „ | 45.000 | „ |
| 2150 | „ | 100 | „ | 215 000 | „ |

სულ 2393 მომგებიანი ბილეთი 500.000 მ.

3. ბილეთის ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი ან კუპონი ხელთ აქვს. არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის შესახებ შეწყნარებული არ იქნება.

4, ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და დაესწრებიან წარმომადგენელნი: საქართველოს ეროვნული საბჭოსი, ამიერ-კავკასიის უმაღლესი მთავრობისა, ტფილისის ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, სახელმწიფო და ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება გაზეთებში. ამის შემდეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოადგინონ ამიერ-კავკასიის ბანკში- ტფილისში, თავიანთი ბილეთები ან კუპონები მეპატრონეებმა; ხვედრ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა,

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მომგებიან ბილეთს ან კუპონს, მისი ხვედრი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული უნივერსიტეტი და თეატ[რი]

რი შეიძინონ ლატარიის ბილეთები და ამითი ხელი შეუწყონ ესვთ კულტურულ საქმეების აღორძინებას.

ლატარიის საბჭოს თავმჯდომარე—დეკანი ქართულ უნივერსიტეტისა—პროფესორი ივ. ჯავახიშვილი.

საბჭოს წევრნი: ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი, ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბარათაშვილი, ამიერ-კავკასიის ბანკის თავმჯდომარე ი. ლორთქიფანიძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე ვასილ ყიფიანი, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ნიკ. ერისთავი, ბელეტრისტი არისტო ჭუმბაძე, დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია, რეჟისორი ვალერიან შალიკაშვილი.

ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი

გამგეობის წევრნი: ეროვნულ საბჭოს წევრი პეტრე ქავთარაძე, მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე შალვა დადიანი.

გამგე-დირექტორი სოლომონ ახვლედიანი.

ბილეთების შეძენა შეიძლება; ქ. ტფილისს ბანკებსა, კავშირებსა და კლუბებში. პროვინციაში ყველგან საკრედიტო დაწესებულებებსა და კოოპერატივებში.

მისამართი: ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპექ., № 34. ლატარიის გამგეობას.

## ერთი დღე ს. ახალქალაქში

ამ თვის 18 ახალქალაქის კომისარის ლაშქარაშვილის მიერ მიწვეულ ვიქმენ, როგორც წინარეხის წარმომადგენელი, საერობო არჩევნების შესახებ მოსალაპარაკებლად. ვიდრე სარაიონო კრება გაიხსნებოდა, დავესწარი საზოგადოების კრებას. რომელზედაც ლაპარაკი იყო კამისარების: ლაშქარაშვილის და ზარიძის კონფლიქტის შესახებ. კრებამ ცხარე ხასიათი მიიღო. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ბევრმა ილაპარაკა და სხვათა შორის ერთმა დაიწყო რიხიანის ხმით, თვალების ბრიალით და მუშტის ტრიალით. მისი ლაპარაკიდან მარტო ორი სიტყვა ისმოდა: „მუშათა წესიაო". ქართულად რომ ვერა გააწყო-რა, ჩაუკაკუნა და ჩაამტვრია რუსული. მე თვით მივალ ნოე ჟორდანიასთან და ვეტყვი, რომ კამისარების გადაკიდება მუშათა წესი არ არისო. როდესაც გაათავა, მე დაბალი ხმით უთხარი—თუ ძმა ხარ, რუსულად ნუ დაუწყებ ნოეს ლაპარაკს, დარწმუნდი, იმანაც უკეთ იცის ქართული რუსულზე და შენ ხომ რაღა თქმა უნდა მეთქი. ეწყინა, შემომბღვირა და მითხრა: რუსკი აზიკ ეშჩო ესტო! ახია რუსებზე: რაც თხამ თრიმლს უყო, ის თრიმლმა თხის ტყავსაო. რამდენადაც იმათ სდევნეს ჩვენი ენა, იმდენად ჩვენებმა სტანჯეს მათი ენა.

კრების დადგენილებას ველარ მოუცადე, რადგან გორელმა ამხანაგმა წამიყვანა საჭირო საქმის გამო.

რამდენიმე საათის შემდეგ დაიწყო სარაიონო კრება, რომელსაც დაესწრო სოფელთა წარმომადგენლების დიდი უმრავლესობა. თავმჯდომარედ ამოირჩიეს დ. კალატოზიშვილი. მოკლე ხანში კრებაზე მოვიდა „ცნობილი სამება", ონოფრეშვილი, ზარიძე და მჭედლოვი, რომელმაც შინ შემოსვლა ვერ გაბედა და, მელასავით, სარკმლიდან იჭყიტებოდა. ამ ისტორიულ პირზე ბევრ რამეს ამბობენ. ეე, მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ იგი ძალიან წააგავს თავის სულკატიანს წინაპარს—ერეკლეს დროის გმირს—არარატიანცს. ამის და მიხედვით ეს „აფხანიკი" სადაც როგორ უჯობს: ხან მჭედლოვია, ხან მჭედლიანცია და ხან მჭედლიშვილია. ხოლო ის კი სტანჯავს, რომ სიტყვის ძირი „მჭედელი" ვერას გზით ვერ ამოფხვრა. უჩჩიეს თურმე „კუზნეციანცი" დაირქვიო, მაგრამ არა ჰქნა, რადგან იფიქრა, ეგრე მხოლოდ სომეხ-რუსთა შორის მექნება გავლენა, ქართველები-კი, სადაც უფრო დიდი საქმე მაქვს გასაკეთებელი, პატივს ამყრიანო.

ეს ის სამებაა, რომელიც სცდილობს ნამდვილ საკამისარო კაცის ლაშქარაშვილის მოღვაწეობას ბოლო მოუღოს, ძველი დრო დაამყაროს და თვით გაბატონდეს.

კრებაზე გამოირკვა, რომ რამდენიმე დღის წინ აღნიშნულ პირებს და ორიოდე სხვას მოუწვევიათ თავიანთი თავი, ჩუმად და მიმალვით ერთმანეთისთვის ხოტბა შეუსხავთ და ერთმანეთი აურჩევიათ საარჩევნო კომისიაში. და აი, როდესაც ამის შესახებ მეორე კანონიერმა კრებამ წინა კრება უკანონოდ აღიარა და ამ გვარი საქციელის ჩადენისთვის დამსწრე პირებს პასუხი მოსთხოვა, ჩინელი ფილოსოფოსივით წამოდგა ბ. ონოფრეშვილი და განაცხადა: „მე ვერ გაგცემთ პასუხს, რადგან აქ არა დემოკრატებიც არიანო". მივხვდი, რაშიაც იყო საქმე. თავმჯდომარეს შევეკითხე: აქ კრება სოციალდემოკრატიულია, თუ სოფლის წარმომადგენლებისაა მეთქი. მიპასუხეს: კრება არ არის სოციალდემოკრატიულიო. შემდეგ როდესაც ამხ. ბარნიშვილმა აუხსნა ბატონ ონოფრეშვილს, თუ რას ნიშნავს სიტყვა „დემოკრატი" და თან დასძინა, რომ აქ ყველანი დემოკრატები არიანო, ონოფრეშვილმა გეზი შესცვალა და სთქვა: არა, დემოკრატები კი არა, სოციალისტი უნდა მეთქვაო. ამაზედაც შესაფერი პასუხი მიიღო ამხანაგებისაგანაც და ჩემსგანაც. კრებაზე ამ სამებამ განაცხადა, რომ ცენტრმა დაგვავალა: კრება სოც. დემოკრატიული მოახდინეთ და არჩევითაც ისინი აირჩიეთო. ფედერალისტებთან ბლოკი არ მოხერხდაო. ყველა შეგნებული ამხანაგები მთხოვდნენ დავრჩენილიყავ, მაგრამ რადგანაც გავიგე, რომ ცენტრიდან ასეთი დავალება ყოფილა, კრება მივატოვე და წამოვედი. ჩემთან ერთად დასტოვა კრება წინარეხელმა ამხ. ი. ქეშელაშვილმა. წამოსვლისას ონოფრეშვილმა რაღაც მომაძახა, ამბობენ მწვავე ხასიათის სიტყვები იყოვო. პასუხად მოვახსენებ, რომ მე მისგან არასფერი მეწყინება და მკითხველისა რომ არ მერიდებოდეს, ერთი მშვენიერი ქართული ანდაზით გავუმასპინძლდებოდი. შენ სიტყვებზე ხომ ღმერთი გაიცინებდა, ონოფრეშვილო?! შენ, რომელსაც ადლის ქნევის მეტი არა გაგიკეთებია რა, შენს თავს კი აძლევ სოციალისტობის პასპორტს და მე რაღას მემართლები, რომელიც ხალხის სამსახურში გავჭაღარავდი და ხალხს შევალიე ჩემი სიცოცხლე. შენ იქნება გამოჩეკილიც არ იყავი, როდესაც მე შენზე კაი ბიჭებმა მომცეს სოციალისტის პასპორტი, ხოლო შენ მოცემულს პასპორტს კი შიგ თავში გთხლეშავდი. ან დავიჯერო „ერთობას" მაინც არა კითხულობ? იქ კი ფედერალისტებს სოციალისტებს უძახიან და ბევრ ალაგას მათთან ბლოკსაც არ უკადრისობენ.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ დანარჩენი წევრები კრებისა მსჯელობდნენ შეგნებულად, დინჯად ძველებური მიუკარებლობა აღარ ეტყობათ, აფასებენ, თავიანთ თავის გარდა, სხვასაც. ვუსურვებ ამ ჯგუფს ენერგიულად შებრძოლებოდეს ბნელეთის მოციქულებს, ზურგი გაემაგრებინოს კამისარ ლაშქარაშვილისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალქალაქის რაიონში დამყარდება ძველებური სამადაშვილისებური დრო, როდესაც ბოროტნი ფარფაშობდნენ, ხოლო პატიოსანნი იტანჯებოდნენ.

ვანო გიუნაშვილი.

## საზიზღრება

„უსირცხვილოს თუ არ არცხვენ,—ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისო".

ანდაზა.

ჩვენი ქვეყნის ეხლანდელ საბედისწერო ჟამით ახლოს დაინტერესებული და გარემოებით პროვინციაში მომწყვდეული, შეგნებული მოქალაქე, ხშირად ანგარიშს არ უწევს ხარჯს და მოსალოდნელ ტანჯვას თანამედროვე მატარებლებით მოგზაურობისას და ხალისით, მოეშურება ჩვენ დედა ქალაქში, რომ თავისივე თვალით ნახოს და განიცადოს ჩვენი, 120 წლის, ბიუროკრატიულ მონობიდან განთავისუფლება, ახლოს გაიგოს, თუ რამდენად საიმედო და მკვიდრია ამდენ ხნის ნანატრი და მოპოვებული თავისუფლება...

დედა ქალაქი ხომ ცენტრია მთელ ჩვენი ქვეყნის გრძნობა-გონებისა; მისი ფარული მაჯის ცემა ხომ მაჩვენებელია მთელ ჩვენ პატარა მხარის დაავადებადალხინებისა და რა საკვირველია, თუ ჩვენი მომავლით დაინტერესებული პროვინციელი დრო-გამოშვებით მოისწრაფოდეს აქეთ?—პირველ წყაროზე დასაწაფებლად!..

პირადად მე, ბოლო დროს ჩამოსვლისას ჩვენ დედა-ქალაქში, ნახულგაგონილმა. პირდაპირ შიში აღმიძრა ჩვენი მომავლისა.

მოგახსენებთ, შეიძლება ბევრს წვრილმან რამედ ეჩვენოს, მაგრამ, თუ კარგად ჩაუკვირდებით,—არც ისრე წვრილმანია, რომ საგრძნობელი გავლენა არ იქონიოს „სხვილმანის" შექმნაზე...

ჩვენ საბუთი გვქონდა გვეკიცხა და შეგვეჩვენა ცარიზმის დროის არსებული მექრთამობა (ქურდობა) მოხელეებისა და თავაშვებული პარპაში სხვის ნაშრომზე, მაგრამ ის, რაც ეხლა თურმე ჩვენ დედაქალაქში ხდება, ვეჭვობ ადგილი ჰქონოდეს დაწყევლილ ძველ რეჟიმის დროსაც კი..

აშკარად და საჯაროდ გესმით ამან და ამან, აქედან და იქიდან „კომბინაცია გააკეთა", ამ დონს ჩამორჩა და თუ „დიდებულად არ ცხოვრობს" (იგულისხმე თავ-აშვებული დროს ტარება). სახლებს ყიდულობსო, იმან ამა-და-ამ საწყობიდან გამოტანა „მოახერხა" ამდენ ფართლეულობისა, ან თუ სანოვაგისა, ბრეზენტებისა, იარაღისა მედიკამენტებისა და სხ.

ამ ორიოდე კვირის წინად ერთ 15—16 წლის, ჯერეთ მოსწავლე და დროებით „გაჩინოვნიკებულს" ბიჭისათვის ათი-ათასზე მეტ ღირებულობის „ბრეზენტი" გაენაწილებიათ, რომ მას არ გაეცა დიდი ქურდობა.. როგორც ხედავთ, არამც თუ „ულვაშ-შერცხვენილნი" მოზრდილნი ქურდობენ,—ამ ჭაობში ითრევენ და ხრწნიან მოზარდ თაობასაც. გასაკვირველი ის არის, რომ ბევრგან ასეთ სისაძაგლეს მახლობელი საზოგადოება გაკიცხვით და ზურგ შექცევით არა ხვდება, პირიქით. არა სიყოჩაღეშიდაც უთვლიან, თითქოს ასეთი „აოხერხება" სინიდისს გარეცხილ ადამიანისათვის ძნელი რამ იყოს!..

ერთ მოხელე ქალიშვილს ჰკითხეს: „ეხლა, უეჭველია, ბევრი სამუშაო გექნებათ თქვენ სამმართველოშიო".

— უფრო ვარშიყობთ და დავყიალობთო!—მოკლედ უპასუხა მან.

და, მართლაც, აბა დააკვირდით სახელმწიფო სამმართველოებში მოსამსახურეთ, თვისი მრავალ რიცხოვანი შემადგენლობით თითქოს მათი უმრავლესობა იქ დროს გასატარებლად დაეპატიჟოთ და არა ქედაუღებლივ, ნაყოფიერ მუშაობისთვის. ყველა ამიტომ მასსაში ჩვენ თავდადებულ მთავრობასაც პრესტიჟი ეკარგება. ან კი რა ჰქნას მთავრობამ, გინდ ღმერთებისგან იყოს იგი შემდგარი; თუ ყოველი შეგნებული მოქალაქე, არ ეცდება რამეხაიროდ დაეხმაროს დიდ სახელმწიფოებრივ მექანიზმის მოწყობაში, თუ მთავრობის რწმუნებული—თანამშრომლები საზიზღარ და გათახსირებულ მოქმედებით სათავეშივე ჩაჰკლავენ კეთილი მიზნის ნაკარნახევს და აღმოსავლეთით მიმართულ საქმეს დასავლეთისაკენ უზამენ პირს! ეს უბადრუკნი ცხვირს იქით ვეღარაფერს ხედავენ და იმას ანგარიშს აღარ უწევენ. რომ თუ ჩვენმა ქვეყანამ ვერ შეინარჩუნა მოპოებული თავისუფლება, თუ უმალ· მონად იქცა რუსეთის ან ოსმალეთის ბარბაროს მოხელეთა თვითნებობისა, მაშინ, უმალ, კერძო პირადი ცხოვრებაც გაძაღლებული იქმნება...

გ. ახალციხელი.

## ქართველ საზოგადოებისადმი

(გ. შარვაშიძის გამო)

ყველა თქვენგანნი მხიარულია და ზეიმობს როდესაც ხედავს მრავალ წამებულ, უფლება წართმეულ ერის აღდგომას, სამშობლოს ყოველ დაბა ქალაქებში და სოფლებში მოფრიალე თავისუფლების ეროვნულ დროშას, რომელსაც აწერია, ძმობა, ერთობა და თავისუფლება, ყველა ქართველისათვის ცხადია სადაც თავისუფლების დროშა ფრიალობს, იმ ქალაქებში სახრჩობელები იყო ამართული წარსულში, და ვისაც უცემდა უსამართლობის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისათვის გული, მას აი ამ სახრჩობელით უმასპინძლდებოდნენ. ან საუკუნოებით გადასახლებასა, დევნასა და მონობაში ხდიდენ სულს:

მამულიშვილნო!

ყველა განუსაზღვრელ სიხარულს ვეძლევით თავისუფალ სამშობლოს მნახველნი.

რა კარგი იქნებოდა სამშობლოსათვის წამებულთ თვით ენახათ ეს ბედნიერი დ ნეტარი დღეები? მაგრამ წინ ვინ აღუდგება განგებას? ყველამ ვიცით წამებულნი ქედ მოუხრელად ეწირებოდნენ თავიანთ წმინდა მიზანს, უნათებდენ ბნელ გზას, მათში ჰსტოვებდნენ ვაჟკაცობის, თავმოყვარეობის სულს და მასთან ჩაგრულ ერის სიყვარულს.

ერთი ასეთი ღირსი მამულის შვილთაგანი იყო განსვენებული გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე.

ვინ არ იცის მისი წარსული ისტორია და ვინ არ გახდა მოწმე მის უკანასკნელი სიცოცხლისა, როგორი სიკვდილი ეღირსა მას?

გიორგი იყო აფხაზეთის უკანასკნელი მთავარის შვილი, მაგრამ ის იყო უბრალო თანაძმა მოჭირნახულე, ხოლო დიდთან დიდი, ამაყი და თავმოყვარე, რაინდი აფხაზი. ბევრი ითქმის გიორგი და საზიზღარი რუსის მთავრობის შესახებ, მაგრამ ამაზე შემდეგ: მხოლოდ დღეს ამ მცირე მოგონების დროს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: გიორგის ვერ წარმოედგინა უქართველოდ აფხაზეთი და უაფხაზეთოდ საქართველო! პირველის აღდგენაში ჰპოებდა მეორის თავისუფლებას, და აჰა მისი წინასწარმეტყველური თქმულება აღსრულდა, ვხედავთ განხორციელებულს სიტყვას საქმედ, ორივე ჩაგრულნი ძმები იცავენ თავისუფლების დროშას; რას იტყოდა განსვენებული, რომ თავისი თვალით ეხილა ეს ბედნიერი წუთები? სიმონ ქანანელის სიტყვებს გაიმეორებდა „აწ განუტევე მონა შენი უფალო რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა სასწაულებრივი აღდგომა მრავალ წამებულ მანდილ ახდილ მიწასთან გასწორებულ სამშობლოსიო".

ჩვენც მამულის შვილნო, რა კი დღევანდელი მდგომარეობის გამო ფართედ ვერ შევიძლებთ ასეთი ადამიანის სახელის აღნიშვნას, მცირე ვ·ლი მაინც მოვიხადოთ ადგილობრივმა ქართველებმა, მისი გარდაცვალების მეექვსე თვის თავზე საზოგადო პანაშვიდის გარდახდით. და როდესაც ჩვენ ორ ძმას ერთ დროშის ქვეშ ძას ქართულ სულთათახს უგალობებთ ამა დროს მისი საფლავი შეიძვრის და დიდებულის სპეტაკი სული გადმოფრინდება ჩვენ შორის და გადმოგვცემს მოხუცის უკანასკნელ ანდერძს.

საყვარელნო შვილნო, აჰა ამ თქვენს ერთობაშია ხსნა და ბედნიერება თქვენი ერისაო.

ძუკუ ლოლუა.

გამომცემელი
ხამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებით და საშვილოსნოს სნეულებაი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. ხიმშიაშვილის აფთიაქის გვერდით. 946

ექიმი ქალი ო. ბ. ზიბლო-საბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ყდინბურგის მედიკურ-ქიოურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილას 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 14—74. 8087

ექიმი ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფებისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის მესახვევი სასტუმრო „ნოვს". პირდაპირ № 8. 450.

ექიმი დ. მ. ჯავახიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86 1270

ექიმი მ. მუხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყოჩაღანოვის ქ. № 6.

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1004

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი ქ. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914) შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ქუთაისში

ექიმი ზ. ქორქაშვილი დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

ექიმი ი. ლ. შალამბერიძე იღებს საბებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი ი. ლ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1158

ქუთაისში მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით. დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. 848

ექიმი ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივი ლოგინებით.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 747

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმ ნაგახარდიანის კერძო კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606" და „914" 11—12 ს.

ბ. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.

ხ. გ. აგახარიანცი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.

მ. მ. ზენიამოვინი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ხ. გ. ავეტიხიანი—9—11 ხაკუთრივ ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი: 1—2 ს. შინაგანი.

საღამოთი:

ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყოფობანი და ქირურგიული.

რჩევა-დარიგება 2 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი. 1019

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით

1-ლი ქართული ბუხჰალტერიის კურსები

ორივე სქესისთვის, წლოვანობის განურჩევლად.

ალ. ზ. საათაშვილისა

ორმაგი ბუხჰალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით. სწავლა დაიწყება სექტემბრის 5 ს. პირობის გაგება შეიძლება დილის 10—12 ს, საღამოთი 5—7 ს. მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (1-ლი სამილ. უბანი). 893

მიიღებიან

მგალობლები

სიონის ტაძართან ქართველი საზოგადოების მიერ დაარსებულ სამ-ხმიანი გუნდისათვის. პირობების გაგება სამიტროპოლიტო კანცელარიის გვერდით მღ. ფ. კარბელაშვილთან საღ. 5—8 საათამდე. მგალობელთა რიცხი განსაზღვრულ[...] ჯამაგირი, შემოსავალს გარდა 100 მანეთამდე თვეში. 908